

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტარიელ შენგელიას მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული სამუშაოს ანგარიში

ჩემს მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეულ სამუშაოს. გახლავართ ხაბუმის თემის მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქცია „გახარია საქართველოსთვის“-ს წევრი, ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, ასევე სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიის და ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრი. საკრებულოს სხდომებთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული ზემოთ ხსენებულ კომისიებში შემოსული საკითხების განხილვაში.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 11 სხდომაში, მათ შორის 2 რიგგარეშე. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის 8 სხდომაში, განხილულ იქნა 16 საკითხი. ასევე სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 5 სხდომაში. ჩვენი ფრაქციის თანამონაწილეობით სისტემატურად იმართება საკრებულოს წევრების შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. საკრებულოს თავმჯდომარესთან, მოადგილეებთან და სხვა წევრებთან ერთად შეხვედრები მქონდა როგორც მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირებთან. სადაც საუბარი ეხებოდა წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებსა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დასახვას.. მუდმივი კომუნიკაცია მაქვს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხაბუმის თემის მოსახლეობასთან. აქტიურად ვარ ჩართული მათი პრობლემების მოგვარებაში. ვმართავ მათთან შეხვედრებს როგორც უბნების მიხედვით, ასევე ინდივიდუალურ ფორმატში. ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრების რაოდენობა 28. ამ შეხვედრებზე მონაწილეობდა დაახლოებით 420 მდე მოქალაქე. ასევე მქონდა მოქალაქეებთან შეხვედრა ოფისში და მათ ინდივიდუალურ მოთხოვნებზე შესაბამისი რეაგირება, ინფორმაციულობის უზრუნველყოფა. ასევე ვახორციელებდი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა წევრებთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგს. აქტიურად ვიყავი ჩართული სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამაში. სოფელ ხაბუმეში რიგი პრობლემური საკითხის (გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხების მოწყობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები) მოგვარებაში. მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფელში ინფრასტრუქტურული პროექტების სწორად და ხარისხიანად განხორციელებას. მუდმივი კომუნიკაცია მაქვს ახალგაზრდებთან და მათ მშობლებთან. მათთან ერთად ვმუშაობ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ვეხმარები სოციალურად დაუცველ ოჯახებს და შშმ პირებს რიგი პრობლემების აღმოფხვრაში. მე, როგორც საკრებულოს წევრი, სოფელ ხაბუმის მაჟორიტარი დეპუტატი მომავალშიც აქტიურად ვიქნები ჩართული მოსახლეობის მიერ დაყენებული საკითხების განხილვაში და მათი ინტერესების დაცვაში.

ტ. შენგელია.

31.10.2022